რმანიის რესპუბლიკის შორის. რუსეთის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკასა და გერმანიას შორის დაუყოვნებლივ უნდა აღსდგეს დიპლომატიური დამოკიდებულება.

### ანტანტა ვერ ისვენებს.

**მოსკოვი, 19 აპრილი**, რუსეთ-გერმანიის შორის ხელშეკრულების ხელის მოწერის ცნობამ მოახდინა ძლიერი შთაბეჭდილება მოკავშირეებზე. მოკავშირეებმა ერთხმად დაადგინეს მიენდოს იურიდიულ კომისიას სასწრაფოდ გამოარკვიოს, რამდენად ეთანხმება ახალი ხელშეკრულება ვერსალისას.

### საბოლოო გადაწყვეტილებისათვის.

**მოსკოვი, 19 აპრილი, 18 აპრილს** მოკავშირეები შეიკრიბებიან საბოლაო გადაწყვეტილების მისაღებად, რუსეთ გერმანიის შეთანხმების საკითხზე. თათბირს დაესწრებიან ყველა ყოფილი მოკავშირეები და აგრეთვე მცირე ანტანტისა და პოლონეთის წარმომადგენლები.

## გენუას კონფერენციის გარშემო

### „გენუა ულენინოდ".

**პარიზი.** „მატენი" აქვეყნებს კორესპონდენციას მოსკოვიდან იმაზე, რომ გენუას კონფერენციას, ალბათ, ვერ დაინახავს ლენინს. ამ კორესპონდენციაში გარკვევით დახასიათებული ლენინი და მისი დამოკიდებულება გენუასადმი. „მატენ"-ი სწერს: „გენუას კონფერენცია ვერ მოგვცემს სერიოზულ შედეგებს. ლენინს არ სურს ფუჭულ-უბრალოდ დაკარგოს თავისი დრო, სწერს: „მატენ"-ის მოსკოველი კორესპონდენტი: „მას უნდა გარკვეული პოლიტიკური გამარჯვებები, და არა ის წარმატება, რომელიც შეიძლებოდა რუსეთოდა პირადად მას კონფერენციაზე. ლენინს ესმის, რომ მისი ჩასვლა გენუაში გამოიწვევდა უდიდეს სენსაციას. ამა ერთი წარმოიდგინეთ: ის, ვლადიმერ ულიანოვ ლენინი ყველაზე გენიალური და ყველაზე საძულველი კაცი მსოფლიოში, ჩამოქვეითებულია იქამდე, რომ მოლაპარაკე ერთ მაგიდას უსხდეს ამ ლოიდ-ჯორჯებთან, პუანკარეებთან, კერზონებთან..." ლენინი არჩევს არ დაემგზავროს კონფერენციაზე, რომლისადმი რწმენა არა აქვს. არამედ იჯდეს შინ და თავის ჩვეულებრივი დაუზოგავი სიცხადით ამხილოს პროლეტარიატის კლასობრივ მტრების ყველა დიპლომატიური ოინები, მთელი სიყალბე, რომლითაც ისინი გამოვიდნენ კონფერენციაზე. რომ ის დარჩება შინ, აქედან პროლეტარული ს ქვე რაფერს არ წააგებს.

უეჭველია „მატენ"-ის კორესპონდენტი სწორს: შეიძლება არ დაეთანხმონ, თუ ფრიად კატეგორიულად ვამტკიცებ, მხოლოდ ბოლშევიკებს უნდა უპასუხოდეთ იმას, რომ თანამედროვე რუსეთი არ ჩავარდეს საბოლოოდ, გარეშემოთათვისაც დაუღუპველ ანარქიაში. ვინც იცნობს რუსეთს და მიჯდომს პრინციპულად, უნდა აღიაროს, რომ ბოლშევიკებმა გამოაკეთეს სხვების მიერ დანგრეული ცხოვრება.

### რუსეთის ცნობის შესახებ.

**მოსკოვი აპრილის 17 ს**, გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავს, რომ დღევ ნდელამდის, ყოველგვარი ცდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა, თავდებოდა სავსებით უშედეგოთ. პოლიტიკური კომისიის ქვეკომისიის უმრავლესობა, როგორც ამ ჟამად ის უკვე ნათლად გამოაშკარავებულია, მომხრეა რუსეთის ცნობისა. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას აშკარად მხარს უჭერს ინგლისი და იტალია.

### ამერიკა და გენუა.

**მოსკოვი. აპრ. 17** ამერიკული გაზეთები აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის მუშაობას ეკონომიური პრობლემების სფეროში ექნება რაიმე დადებითი შედეგი, ამერიკამ, შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღოს ევროპის ეკონომიურ აღდგენაში; ამასთან ერთად რუსეთსაც აღმოუჩენს ამერიკის სათანადო დახმარებას.

### ამხ. კარახანის პროტესტი

**მოსკოვი 16 აპრილი**, ამხ. კარახანმა, 15 აპრილის თარიღით, დეპეშით წ ნადგება მისცა რომში ამხ. ბოროვსკის, პროტესტი განაცხადოს „სტეფან."-ის ოფიციალური სააგენტოს მიერ ამხ. ჩიჩერინის გენუაში წარმოთქმულ სიტყვის დამახინჯებისა და საბჭოთა დელეგაციის მიერ გენუიდან დეპეშების გადმოგზავნის შეფერხების შესახებ. კარახანი ავალებს ამხ. ბოროვსკის მოსთხოვოს იტალიის მთავრობას საბჭოთა დელეგაციისათვის პირდაპირი მავთულის გენუა—ბერლინის—მოწყობა, ვინაიდან სხვა დელეგატებს ასეთი პირდაპირი მავთული უკვე აქვთ. ამხ. კარახანი აღნიშნავს, რომ რუსეთი მართალი იყო, როდესაც ილაშქრებდა კონფერენციის გენუაში მოწვევის წინააღმდეგ და წინადადებას იძლეოდა კონფერენციისათვის სხვა ისეთი ადგილი გამოინახოთ, საიდანაც უფრო ადვილი იქნებოდა ურთიერთობის დაჭერა, მაგრამ ანტანტამ უპირატესობა გენუას მიანიჭა და ჩააყენა რუსეთის დელეგაცია მძიმე პირობებში თავის მთავრობასთან ურთიერთობის დაჭერის საკითხში.

### მოსკოვის მუშები და კონფერენცია.

**მოსკოვი, 16 აპრილი.** მოსკოვის ქარხნების მუშები, კითხულობდნენ რა გაზეთებში ცნობებს გენუას კონფერენციის შესახებ, დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა დელეგაციის ინფორმაციას თითქმის სრულებით არა აქვს ადგილი, რის გამოც მოითხოვეს მიტინგების მოწყობა. მიტინგებზე გამოირკვა, რომ საბჭოთა დელეგაციას, მოსკოვთან კავშირის დაჭერის საქმეში, იმყოფება ძლიერ მძიმე პირობებში. მიტინგებზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები, რომელშიც მუშები პროტესტს აცხადებენ საბჭოთა დელეგაციისათვის შექმნილი აუტანელი პირობების წინააღმდეგ: მას უძნელდება ურთიერთობისა და კავშირის დაჭერას. ხოლო ბურჟუაზიული სააგენტოები ამახინჯებენ მოლაპარაკების მსვლელობას და რუსეთის დელეგაციის განცხადებებს.

### გენუა და ოსმალეთი.

**პარიზი.** გაზეთი „ტანი" ბეჭდავს კონსტანტინოპოლიდან მიღებულ კორესპონდენციას შემდეგი სათაურით: „ნავთი, გენუა და ინგლისის ოსმალეთის პოლიტიკა". კორესპონდენტი სწერს: „საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიპყრობილია მხოლოდ გენუის კონფერენციისაკენ. ოსმალეთის საკითხი თითქოს ხელ-ახლავ დაივიწყეს, მიუხედავად მრავალი დაჟინებითი მოთხოვნისა და პროტესტებისა, ოსმალეთი არ არის მიწვეული კონფერენციაზე. აქედან შეიძლება ისეთი დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ოსმალეთის საკითხი გადაჩეხვა რუსეთის საკითხის დამოუკიდებლივ. არსებითად, თუ ოსმალეთის საკითხი ამდენათ გამწვავდა, ეს მოხდა უმთავრესად იმის წყალობით, რომ ოსმალეთის ერები და განსაკუთრებით ოსმალეთი იღებდნენ სერიოზულ დახმარებას მოსკოვიდან. შეიძლება წინდაწინ ვსთქვათ, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა რუსეთის ერთ უძლიერეს იარაღად გადაიქცევა აზიის აჯანყება. ოსმალეთი აუცილებლად დიდ და მნიშვნელოვან როლს ითამაშებს იმ ტრაგედიაში, რომელიც დღეს იწყება აზიასა და ევროპაში და რომელიც სურთ გენუაში გადასწყვიტონ. მაგრამ შეუძლებელია რაიმე იმედი ვიქონიოთ ამ მხრივ გენუის კონფერენციის შედეგებზე, თუ ეს პრობლემა აღებულ და განხილულ არ იქნება მთელი თავისი შინაარსით, თუ შესწავლილი და გამორკვეული არ იქნებიან ყველა ის მიზეზები და ფაქტორები, რომელთაც ხელი შეუწყეს ანტი-ევროპიულ კავშირს ულტრა-რევოლიუციონერ მოსკოვისას ულტრა-კონსერვატიულ ოსმალეთთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების ნანგრევებზე ამიერ-კავკასიაში იქმნება ახალი გრანდიოზული მაჰმადიანური კონფედერაცია, რომელიც თავის გარშემო რაზმავს აღმოსავლეთის მთელ მაჰმადიანობას. იგიავრცელებს თავის გავლენას ნავთით მდიდარ ადგილებზე, რომელიც იწყება კავკასიის მთის გრეხილებიდან სპარსეთის ზღვის ყურემდე, რუსეთის თურქესტანიდან ოსმალეთის მესოპოტამიამდის, რომელიც ინგლისმა დაიკავა ომის გამოცხადებისთანავე. მართალია ინგლისელებმა რუსეთ-მაჰმადიანთა ძალების შემოტევის გამო მოახდინეს კრასნოვოდსკის, ბაქოს, ენზელისა და, თეირანის ევაკუაცია, მაგრამ, ცხადია, რომ ინგლისს უარი არ განუცხადებია თავის მიზნებზე. თავისთავად გასაგებია, რომ საკმარისი არ არის ნავთით მდიდარ ადგილების დაკავება, არამედ საჭიროა კიდევ ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ამ სიმდიდრეთა ექსპლოატაციას. სწორედ ამიტომ დღეს დღეობით ნათელია ის გარემოება, თუ რისთვის მიუსია ინგლისმა ოსმალეთი-დასავლეთს: სწორედ იმიტომ, რომ განაცალკევოს ოსმალეთი, დაასუსტოს იგი, რათა საჭირო შემთხვევაში ხელი ჩასჭიდოს სპარსეთს და თუ შესაძლებელი იქნება კავკასიასაც ბოლშევიკები კი საერთოდ ებრძვიან ინგლისის ამ პოლიტიკათ და ქმნიან გეგმებს აღმოსავლეთში თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად!

### რუსეთისათვის სესხის მიცემის აუცილებლობა.

**ვაშინგტონი. 17 აპრილი**, ამერიკელ სენატორმა ფრანსმა განუცხადა გაზეთ „ფილიშე ცაიტუნგი"-ს ვაშინგტონელ კორესპონდენტს, რომ ევროპის მოკავშირეთა ვალები შეიძლება დაფარულ იქნეს იმ შემთხვევაში თუ ამერიკას გადაეცემოდა გერმანიის ყოფილი აფრიკის კოლონიები. ფრანსი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ევროპის აღდგენა დაწყებული უნდა იქნეს რუსეთის მიერ ვალების ცნობით, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ მოხდება თვით რუსეთის ცნობაც. ამ შემთხვევაში ამერიკის ოქროს ბაზარზე შესაძლებელი იქნება რუსეთისათვის 2 მილიარდი დოლარის სესხის რეალიზაცია, რომელიც საჭირო იქნება სათესლე მასალის, სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და რკინის გზების მასალების შესაძენათ. ფრანსმა სთქვა მტკიცე რწმენა, რომ ... ბეჭში ... საკუთრების უფლების ... შეძლებს ... წლების ურთიერთობის შემდეგ. რუსეთისათვის მაშინ დაიბადა შესაძლებლობა თავის დროზე გადაიხადოს ინგლისისა და საფრანგეთის პროცენტები რათა, ცხადია მდგომარეობა შეუმსუბუქდება გერმანიასაც.

## ცნობები

### მთაწმინდის დამოკიდებულება

**რომი. 16 აპრილი**, მთაწმინდის მიტროპოლიტმა დაადგინა სთხოვს ჩიჩერინს დაიცვას მთაწმინდის დამოუკიდებლობა.

### ამერიკის ფლოტი

**ნაუენი. 17 აპრილი**, ამერიკის მთავრობა სასტიკად ეწინააღმდეგება პაციფისტების ტენდენციას, მიმართოს ამერიკის ფლოტის პირადი შემადგენლობის რიცხვის შემოკლებისაკენ 67.000 კაცამდე. იუზს მოჰყავს ექსპერტების განცხადება, რომ 67,000 ეს უკიდურესი მინიმუმია, რომელიც აუცილებელია 18 სამხედრო გემის საჭიროებისათვის—პრეზიდენტი გარდინგი დაჟინებით მოითხოვს ფლოტის შემადგენლობაში 86 000 კაცის დარჩენას.

### სხვა გზით..

**ბერლინი 15 აპრილი.** საკონტროლო კომისიამ გერმანიის მთავრობას ჩააბარა საპასუხო ნოტა, მის უკანასკნელ განცხადების გამო. ნოტაში აღნიშნულია, რომ თუ გერმანია 31 მაისამდე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებებს გადახდის, გარანტიების და კონტროლის, იმ შემთხვევაში ვალის დროებითი გადადება შეწყვეტილ იქნება და მოკავშირენი გერმანიის საკითხს გადასწყვეტენ სხვა გზით... კომისია თვით გერმანიის ინტერესებისთვის აღნიშნავს საერთო თანხის დაფარვის აუცილებლობას გერმანიის ხალხის რეალურ დაბეგვრის მეშვეობით. და ბოლოს კომისია აფრთხილებს გერმანიას, რომ შემდეგში არ მიმართოს თავის დაძვრენას, რისთვისაც უწინარეს ყოვლისა საჭიროა გადასახადის გადიდება.

## მეტაფიზიკოსის დღიური

### ოსვალდ შპენგლერი.[1])

ყოველივე წარმავალი სვიმბოლოა მხოლოდ. გოეთეა მისი ინსპირატორი. მისი წიგნის მოტოა: Und alles Dränogn, alles Ringen ist eivige Ruh in Cott dem Herrn. ყოველივე მოძრაობა, ყოველივე ბრძოლა, მდინარება სახის ცვლა, მეტამორფოზი, სულიერიდან სულიერობაში გადასვლა. ყველაფერი მოწადინებულია თავისი უკანასკნელი თავშესაფარი ტრანსცენდენტში იპოვნოს ღმერთში. მისტიკა გოეთესებური გიგანტიური არქიტექტონიკით განზრახული.

სადაც უფლისაკენ მიმავალი კიბეა აღმართული იქ იყრიან თავს ღვთაებრივი სულითა. ჩვენ უნდა ვიგრძნოთ ჯერ სიგლახაკე ჩვენი სულისა, უნდა ფაუსტურად ვიგრძნოთ, რომ ჩვენ არაფრის წინასწარ ცოდნა არ ძალგვიძს. შპენგლერსაც არა აქვს ეს პრეტენზია, მისი მოძღვრება ჰომოლოგიებზე, მისი ისტორიულ-ფილოსოფიური ანალოგოს, დღეს ბავშვებსაც ვერ დააჯერებს. მისი სიძლიერე მის ალოგიზმშია. მისი მეთოდი უმეთოდობაა უფსკრული პარადოქსების. უფსკრული აბსოლუტური რელატივიზმისა ჩვენი მსოფლიო ატმოსფერა უფსკრულების-ზიგზაგი. მისი წიგნი სუნთქავს ძლიერი, გოეთესებური ინტუიციის ძალით. ეს არის დიდი, ვიზიონერული ხილვა. მისი მსოფლიო სურათი ხილიასტური ეს ხატოლოგიური ხილვაა მსოფლიო წარღვნისა. ისეთივე წარღვნის, რომელსაც საშუალო საუკუნის მიწურულში ელოდენ. უკანასკნელი საგნების ალსასრული. ჩვენი საუკუნის სასოწარკვეთილი. ალსარებაა „ეუ სუი მისტიკ ე ჟე კრუა არიენ". მე მისტიკოსი ვარ და მე არაფერი არა მწამს.

მისი წიგნი მეორე ათასეული წლის მიწურულში კიდევ ერთხელ გვაბრუნებს ჩვენ მისტიციზმისაკენ. ჩვენი საუკუნის საშინელმა სკეპტიციზმმა აქამდის მოგვიყვანა. ევროპული ნიჰილიზმის ეპოპეა უკვე დასრულდა, იწყება ახალი გარსი მისტიკისა.

შპენგლერის წიგნი ერთის მხრით უბ ვეული მოვლენაა ჩვენს თანამედროვეობისათვის. ჯერ კიდევ არ დასრულებულა უფსკრულების პოლარული ზონა. ჯერ კიდევ ნაადრევია სწორი, მათემატიკური კანონიერების ძებნა. ეს წიგნი იქნება პირველი ცდა, ისტორიის მსვლელობის წინასწარ გაგებისა. ავტორს სწადია მიწვდეს იმ ფორმებს, რომელსაც მიიღებს დღევანდელი დასავლეთური კულტურა (იგია ერთად ერთი კულტურა მთელს ქვეყანაზე, რომელიც სრულ ყოფაშია განზრახული.)

არსებობს თუ არა ლოღიკა ისტორიისა? არსებობს თუ არა ასე ვთქვათ მეტაფიზიკური სტრუქტურა ისტორიულ ადამიანობისა. დღემდის არსებულ კულტურანი ექვემდებარებოდნენ თუ არა კანონს: შობისა, სიჭაბუკისა და სიკვდილისას.

შპენგლერის წიგნის მოკლე რეზიუმე ასეთია: ისტორიული ანალოგია. მსოფლიო ისტორიის მორფოლოგია—ახალი ფილოსოფია. ვისთვის არის ისტორია. ანტიური ადამიანი აისტორიულია. მისი დამოკიდებულება ქრონოლოგიისა და ასტრონომიისადმი. მსოფლიო სურათი ინდიო-ეგვიპტურ ადამიანებისა, მუმია და მიცვალებულთა დანაცვრა ვითარცა სვიმბოლონი დროისა.

დასავ. ევროპიული ადამიანი უაღრესად ისტორიულია.

ფორმები მსოფლიო ისტორიისა: ძველი—საშუალო: ახალი დრო. ამ შემის სიყალბე და პროპორციის უქონლობა. აღმოსავლეთის მოსვლა. დასავლეთ ევროპა არ არის სიმძიმის ცენტრი. სრული რელატივიზმი. გოეთეს მეთოდი—ერთად ერთი ისტორიული ფორმულაა: მსოფლიო ისტორია ისტორია მაღალ კულტურათა ჯგუფისა. კულტურანი—ვითარცა ორგანიზმები.

რომაელობა გასალებია—დასავლეთ ევროპიელობის მომავლის შესაცნობად. ჩვენი ბერძნული დამოკიდებულება ანტიკისადმი იდეოლოგიური და მატერიალისტური (ნიცშე და მომზენი). ორთავ ილუზიასხრისთა სილუეტური. დასავლეთის დაღუპვა. პრობლემა ცივილიზაციისა. ცივილიზაცია ვითარცა აღსასრული ყოველივე კულტურისა. ბერძენი და რომი, კულტურა და ცივილიზაცია. მსოფლიო ქალაქი და პროვინცია. იმპერიულ რომანიზმში ნორმალური აღსასრული ყოველივე ცივილიზაციისა. თანამედროვეობა და იმპერიალიზმი.

ძირითადი აზრის აუცილებლობა. დამოკიდებულება ფილოსოფიისადმი. დღევანდელი ფილოსოფოსობის შეუძლებლობა, დროისადმი ცოცხალი დამოკიდებულების უქონლობა. არსებობს თუ არა ნამდვილი შესაძლებლობა. სქემატიურ და ეთიურ პერიოდების თანასწორდევნა—პერიოდი უკანასკნელი—სკეპტიკური პერიოდი. (იგივე ჰისტორიულ-რელატივისტური). შემეცნებისა და ღირებულებათა პრობლემის ნაცვლად ფორმის პრობლემა, როგორც უმთავრესი პრობლემა. ისტორიულ მორფოლოგიის გადაკეთება უნივერსალურ სვიმბოლიკად.

ტაბელები, სვიმბოლიკა რიცხვებისა. ძირითადი მცნებანი: მიმართულება და ვრცელობა ქრონოლოგიური და მათემატიკური რიცხვი რიცხვი=ვითარცა პრინციპი გამიჯვნისა. არ არსებობს რიცხვი „თავისთავად" მრავალგვარი მათემატიკა. კანტისეული მცნება a priori შემეცნების ფორმა: არც კონსტანტიური, არც თუ ყველასათვის სავალდებულო. ფუნქცია ყოველივე შესაძლებელი კულტურისა.

შინაგანი ნათესაობა ყოველივე მათემატიკისა, მისი დროის ხელოვნებათა ფორმათა მეტყველობასთან. ევკლიდისეული გეომეტრია და სტატუების პლასტიკა: ანალიზის და კონტრა პუნქტი.

ანტიკური რიცხვი=ვითარცა სიდიდე (ზომა).

ირაციონალურ და ნეგატივ რიცხვების უქონლობა. არისტრახის სისტემა.

მათემატიკა და რელიგია. რიცხვი და სიკვდილი. არაბული რიცხვი, დეკარტის და დაუსრულებლობის ანალიზი. დასავლეთური რიცხვი ვითარცა ფუნქცია.

ირაციონალური=ანტი ჰელენისტური.

მსოფლიო შიში და მსოფლიო წყურვილი წარმოშვება მათემატიკურ, რელიგიურ, არტისტიულ ფორმათა მეტყველობისა: უცნობის წინაშე აღსებული შიშის გამოხატვაა.

გეომეტრია და არითმეტიკა. კვადრატურა გარსისა, კლასიკური=ანტიკური მიჯნათა პრობლემის შემცველია. მათემატიკა უმცირესისა: (ანტიკური სახელმწიფო) კონსტრუქცია და ოპერაცია. კლასიკური, დასავლური მიჯნათა პრობლემა:

ანალიზის საშუალებით გადალახვა ხილვის მიჯნებისა.

ანტიკური პარალელების აქსიომა და არა ევკლიდისეული გეომეტრია. მრავალ დიმენსიონალი სივრცენი. უკანასკნელი რედაქცია ფაუსტიურ რიცხვობისა.

ფორმალურ შესაძლებლობათა ამოწურვა და დასავლური მათემატიკის დასასრული.

პრობლემა მსოფლიო ისტორიისა. აუცილებლობა ახალ ისტორიულ მეთოდისა.

იდეალების და მორალების გამორიცხვა=ბარომეტრია განვითარებისა. ისტორია და ბუნება=სახეობა და კანონი, მიმართულება და გავრცელება.

ფიზიონომიკა და სისტემატიკა; ვითარცა ორი გზა მორფოლოგიური მსოფლიო ჭვრეტისა.

რა არის კულტურა? მაღალი რანგის ისტორიის წარმოშვება. გოეთეს Urphänomen—პირველ ფენომენი. ტემპო გამძლეობა, სტილი და სიკვდილი მაღალი რანგის კულტურათა, მცნება ეპოქების ჰომოლოგიებისა.

ყოველგვარ კულტურის თანაბარი ნაშენობა=კონსტრუქცია. ისტორიულ პერიოდების რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

იდეია ბედისწერისა და კაუზალობის პრინციპი. ორგვარი ფორმა კოსმიურ აუცილებლობათა: ორგანიული და ანორგანიული ლოღიკა—ბედისწერა და კაუზალ პრინციპი.

დამოკიდებულება მსოფლიო წყურვილისა და მსოფლიო შიშისადმი. კაუზალური მსოფლიო ფორმა=ვითარცა გონების ცდა ბედისწერის დასაძლევად. ბედისწერა ვითარცა ერთნაირი ყოფნის სახე პირველ ფენომენის=.

პრობლემა დროისა. სისტემატიკოსების ცუდი გაგება. დრო და სივრცე. დრო არაა მეცნიერულად მისაწვდომი მცნება. სივრცე=და დროის გაზომვა.

მათემატიკა და ქრონოლოგია.

დრო, ბედი და ტრაგედია. ევკლიდისეული და ანალიტიური ტრაგიკა. ყოველივე კულტურას თავისი საკუთარი ბედისიდეია მოეპოვება. შესაძლებლობის მიჯნებთან. დიდი დროის სვიმბოლონი საათი. დაკრძალვის ფორმები. კალენდარი, ეროტიკა. სახელმწიფოს ფორმა და დროის გაცდა. ანტიკური, ეგვიპტური და დასავლური სახელმწიფოს აზრი სტოიციზმი და სოციალიზმი. დამოკიდებულებანი პლასტიკისა და მუსიკისადმი.

ბედისწერა და შემთხვევა. კაზუალობა და პრედესტინაცია. ტრაგიზმი შემთხვევითისა. (შექსპირი). ტიპი და სტილი ანტიური ყოფნისა. ასტროლოგია და ორაკული. ანტიკური ბედის ტრაგედია. ლოღიკა ისტორიისა. კოლუმბი და ისპანიური საუკუნე. „ეპოქა" და „ეპიზოდი". ანონიმური და პერსონალური ფორმა ისტორიისა. ნაპოლეონ ბუონოპარტეს ბედი. ლუთერი.

არსებობს თუ არა ისტორიული მეცნიერება. ფიზიკალურ=კაუზალურ და ისტორიულ=ფიზიონომიურ მეთოდების ალრევა. ისტორია ვითარცა პროცესი.

„შიმშილი და სიყვარული". სოციალური დრამა ვითარცა განმეორება ისტორიის მატერიალისტურად გაგების სკეპტიციზმის სინაკლული.

მაკროკოზმი.

**კონსტანტინე გამსახურდია**

(დასასრული იქნება)

[1]) პირველი ნაწყვეტი დაიბეჭდა შარშან აპრილში გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტში".

# ცენტრალურ აღმასკომში

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო სესია დასრულდა აპრილის 19-ს.

აღმასკომმა მოახდინა ყარსის ხელშეკრულების რატიფიკაცია, მიიღო კანონები საადგილ-მამულო პოლიტიკის შესახებ და სხვა. დაწვრილებით შემდეგ.

თავის უკანასკნელს სხდომაზე აღმასკომმა აირჩია მთავრობის ახალი თავმჯდომარე—ამხ. სერ. ქავთარაძე, შინაგან საქმეთა სახ. კომისარი—ამხ. ალ. გეგეჭკორი, სამხედრო და საზღვაო—ამხ. ჯიქია, განათლების—ამხ. დ. კანდელაკი, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარედ—ამხ. ბ. კვირკველია.

# ახალი ამბები

— **ს. ს. უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოთ.** ეკონომისტ სტუდენტთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ არსდება კოოპერატორთა წრე, რომლის მიზანი იქნება შესწავლა კოოპერაციის თეორიის, პრაქტიკის; კოოპერაციის ისტორიის საზოგადოდ და კერძოთ საქართველოში. წრეში წევრათ ჩაწერა შეუძლია მხოლოდ მათ, ვინც კოოპერაციას სპეციალურად შესასწავლ საგნად გაიხდის. ჩაწერა შეიძლება სტ. ვიქტორ მხეიძესთან და სტუდ. კოოპერატივში სტ. გრიგოლ ქელბაქიანთან.

— **ახალი წიგნი.** კონსტანტინეპოლში ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სტამბაში, პატრონ შალვა ვარდიძეს, ცალკე წიგნად გამოუცია ქართულს ენაზედ, ფრანგულის ენიდან ნათარგმნი ცნობილ ფრანგ ჟანენის წიგნი:—„ქართველები იერუსალიმში“. დაწერილი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს, თუ ქართველებს რა დიდი ძალა და ზეგავლენა ჰქონიათ იერუსალიმსა და მთელს ის თემზედ და ან იქ ქართველებს რა დიდი და ძვირფასი ნაშთენი და ეკლესიები ეკუთვნიათ უძველესის დროიდან. ქართულ წიგნს დამწერის წინასიტყვაობა ფრანგულს ენაზედ აქვს დაბეჭდილი. წიგნი შეიცავს 40 გვერდს და დაბეჭდილია მეტად სუფთად და ლამაზად.

— **ბოტანიკურ ბაღში;** გასულ თვის განმავლობაში ტფილისის ბოტანიკურ ბაღში შესულა 3000 კაცი (ფასით) ფეხვილების მოწყვეტისთვის, ან რაიმე ნერგილის გაფუჭებაზე ბაღის ადმინისტრაციის მიერ დაწესებულია 50000 მანეთის ჯარიმა. გასულ თვეს ბაღი ინახულებს სხვა და სხვა ექსკურსანტებმა მთ შორის ამიერკავკასიის პროფკავშირების ყრილობის წევრებმა. მთლად ტყის პროფკავშირების წევრებმა და ადგილობრივ სასწავლებლის მოწაფეებმა.

— **მუღანში.** მუღანის სამელიორაციო მუშაობის საქმის სათავეში სდგას ამხ. ბოგდატიევი. მუშაობა არხების გაყვანად ინტენსიურად სწარმოობს. მუღანში ჩამოდიან ბევრი ლტოლვილნი ირანიდან და დამშეულ რუსეთის მხარეებიდან. ერთ კვირაში 200—300 ადამიანი ჩამოდის და თითქმის ყველანი მუღანშივე რჩებიან.

— **წყლით სარგებლობა აზერბეიჯანში.** აზერბეიჯანის სახალხო კომ. საბჭომ დაარსა 60 მილიარდის ფონდი უმაღლესი შესაკეთებლად და რესპუბლიკის თანაბარ წყლით სარგებლობისთვის.

— **ქურდობა.** სახ. საზღვაო კომისარიატის შტაბიდან ბოროტ-განზრახველებისაგან გატაცნილია ორი საწერი მანქანა. მოპარული მანქანები აღმოჩნდა კალატოზიშვილის მაღაზიაში. ქურდები კი ყოფილან ვინმე მესხიშვილი და ცარიელი რომელნიც ქურდობაში გაერთდნენ. ბებუთოვის ქუჩაზე სახ. № 23 მცხოვრებ მოქ. დოვლათიან ბინიდან გაუტაცნიათ 250 მილიონი მანეთი ღირებულების ნივთები.

— **ახალი მწერლების კავშირის წევრთა საერთო კრება.** კვირას აპრილის 23-ს ხელოვანთა სასახლეში დილის 11 საათზედ შესდგება ახალი მწერლობის კავშირის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგშია: „პოეზიის დღის“ მოწყობა, დამატებითი არჩევნები საბჭოსი და მორიგი საკითხები.

— **ტფილისის ბირჟა.** 19 აპრილს ტფილისის ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოისახა. შემდეგში:

| | (ათ მან.) |
|---|---|
| ოსმალ. ლირა ოქრო | 835 |
| (ბანკნოტი) | 175 |
| სტერლინგი (ბანკნოტი) | 950 |

# სამხატვრო ქრონიკა

— **ახალი ჟურნალი.** რედაქციამ მიიღო სახკომფოსტელის გამოცემული ორკვირეული ჟურნალი: „ფოსტა-ტელეგრაფის ცხოვრება“. № 1. ჟურნალი სუფთად არის გამოცემული და ღირს 20.000 მან.

— **ახალი ბიულეტენი.** რედაქციამ მიიღო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბიულეტენი (№ 1—2) იანვრისა და თებერვლის. ბიულეტენში საინტერესო ცნობები არის მოთავსებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის, პურეულობის საშუალო მოსავლისა და სხვა დარგების შესახებ. თვითეული ნომერი ღირს 20 ათასი მან.

# პარტიაში

ხუთშაბათს „ახალგაზრდათა ხმა“ არ გამოვიდა, რადგან ტეხნიკური დაბრკოლების გამო გაზეთის სრული ფორმატი არ გამოსულა. მომავალ კვირიდან „ახალგაზრდათა ხმა“ გამოვა კვირაში ორჯელ, სამშაბათს და პარასკევს.

# თესვის კამპანია

მიმდინარე თვე არის გამოცხადებული თესვის თესვის თვედ. კამპანიის ჩასატარებლად ზრუნავენ ცენტრის და პროვინციის ხელისუფალი ორგანოები.

საქართველო არა მარტო დღეს იმყოფება სიმშილის ბრჭყალებში. მ ს შემდეგშიაც უნდა მოველოდეთ, თუ ჯეროვანი საქმიანი მუშაობით არ ჩატარდა მიმდინარე თესვის კამპანია.

არ უნდა დარჩეს არც ერთი მოკავეული დაუთესველი მიწა, ქალი და კაცი, დიდი და პატარა უნდა ჩაერიონ თესვის კამპანიაში.

სასწრაფო დახმარებას მცხოვრებთა მიმართ ამ მხრივ მთავრობა უკვე აწევს. მან საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში დაიგზავნა რამდენიმე ასეული ფუთი სათესლე ხორბალი და გაუნაწილა ხალხს მაგრამ ეს ეს დახმარება მაინც იმდენად მცირეა, რომ მისი განაწილების დროს როგორც დანამდვილებით ვიცით, თითო მოსახლეს 15—20 გირვანქამდე თუ ხვდება წილად და ესეთი მცირე დახმარება „წვეთია ზღვაში“.

თესვის კამპანიის დაგვიანება არას გზით არ მოხერხდება. თუ აპრილის განმავლობაში არ იქნა დათესილი ყველა სახნავ-სათესი ადგილები შემდეგ უკვე დაგვიანებული იქნება და ყოველი შრომა იმდენ ნაყოფს ველარ გამოიღებს.

ხადავუფვათ დროებით ყოველ მეორე საკითხი, შევაჩეროთ ნაწილობრივ სხვა საქმე და სიმშილისა და თესვის გარშემო ავამოძრაოთ მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი ენერგია. უნდა შეიქნეს ძლიერი ფრონტი სიმშილობის აღმოსაფხვრელად და თესვის სასარგებლოდ, რომ შემდეგში მაინც თავიდან ავიცილოთ ასეთი რამ. წლევანდელმა გაკვეთილმა უნდა გაგვაფრთხილოს და ყოველი შემთხვევისათვის უნდა ვემზადოთ.

ყოველი მოქალაქის ვალია დაეხმაროს მთავრობას ამ ფრიად სიმპატიურ საქმეში, გაიღოს შეძლების მიხედვით დამშეულთა სასარგებლოდ.

ის, ვინც არ იგრძნობს ამ საბედისწერო მომენტს და საკუთარი თავის მეტი არაფერი არ ახსოვს, არ არის საჭირო ჩვენ ტერიტორიის გზებს სტკეპნიდეს. ასეთ ხალხს საჭიროა იძულებით წაერთვას დამშეულთათვის და თესვისათვის და ეს არ იქნება არავითარი ბოროტება და არც ცუდი საქციელი.

ყველაფერი დამშეულთათვის, ყველაფერი თესვის კამპანიის დროულად და შესაფერისად ჩატარებისათვის, ამას მოითხოვს რევოლიუცია და თავისუფლების ითსაქმეც.

ვ. თ—ლი.

# სამეგრელოს მუზეუმი

(დასასრული)

გასაბჭოების პირველივე თვეში რევკომის მიერ იქმნა მოწვეული ამ მუზეუმის სათანადო მოსაგვარებლად მოქ. ავ. პანტურია, რომელსაც სამისო სტაჟი აქვს ინგლისიდან. მან სიამოვნებით მიიღო რევკომის წინადადება და კიდევაც დაბალაგა მუზეუმი სასახლის ერთ დარბაზში. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამდენი ნივთების და საგნების მოთავსება ერთ ან ორ ოთახში, და ისიც ევროპიულ გემოზე შეუძლებელი იყო და აღძრა შუამდგომლობა რევკომის წინაშე, რათა მუზეუმისათვის დაეცალებინათ ახალი „დედოფლის დოხორე“, რომელიც თავისი ხუროთმოძღვრებით და ლამაზი მოყვანილობით უფრო სამუზეუმო საგანია, ვიდრე „დაწესებულების სადგომი ბინა“. რევკომმა არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა ვიწრო, მაზრის რევკომის ინტერესებით, რევკომისათვის შესაფერი ბინის უქონლობის მოტივით; საქმე მივიდა იქამდის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მუზეუმი იქნა დალუქული მუშათა და გლეხთა ინსპექციის უზარმაზარი ბეჭდით.

მუზეუმის გამგე პანტურიამ ეს საქმე გადაიტანა განსახილველად სახ. განათ. კომისარიატში, რომელსაც მოყვა შედეგად ამ საქმის ადგილობრივად გამოსარკვევად სპეციალური კომისიის გამოგზავნა ჩუბინაშვილის, ამირანაშვილის და ნანეიშვილის შემადგენლობით. რამდენ დაც ვიცით,—ამ კომისიამ საფუძვლიანად გაიზიარა პანტურიას სამართლიანი შეხედულება და გამოიტანა დასკვნა, რომ „დედოფლის დოხორე“ იქნეს დაცლილი მუზეუმისათვის. რა ბედი ეწვია კომისიის ამ დასკვნას სახ. განათ. კომისარიატში, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ეს კი ცხადი არის, რომ მუზეუმის მდგომარეობა რჩება „Stafusquo“-ში და ინსპექციის ბეჭდის ახსნა მას დღემდე ვერ ეღირსა; ეს კი ცხადია, რომ მაზრის ვიწრო ინტერესები სამაზრო აღმასკომისთვის ბინის მონახვის ტეხნიკური მხარე მსხვერპლად ეწირება ისეთ კულტურულ, დიდ მნიშვნელოვან და საერთო რესპუბლიკანური ხასიათის საქმეს, როგორიც არის სამეგრელოს მუზეუმი მაინც და მაინც ძნელი არ არის აღმასკომისათვის ბინის შოვნა ქ. ზუგდიდში, მით უმეტეს, რომ აღმასკომის განკარგულებაში არის ძველი სასახლე, სადაც მოთავსებული იყო თავის დროზე ეროვნა. ყოველ შემთხვევაში, ვლაპარაკობთ ჩვენ, თუ უბრალო ჯინიანობას არ გავყვებით აღმასკომისათვის ბინას ყოველთვის ვიშოვნით კერძო სახლის კონფისკაციაც რომ გამოიწვიოს ამან, ეგეც არ იქნება დანაშაული, რადგან ამ შემთხვევაში მიზანი საფ ხვეწა ამართლებს საშუალებას. ხოლო „დედოფლის დოხორე“ როგორც თავის თავად სამუზეუმო საგანი, ასე თუ ისე, უნდა იქნეს დაცლილი მუზეუმისათვის. ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუზეუმის აღსადგენად სრულის თავისი მნიშვნელობით და ამას კი მოითხოვს როგორც სამეგრელოს, ისე მთელი საქართველოს კულტურულ განვითარების საქმე. საჭიროა, როგორც სახ. განათ. კომისარიატმა, ისე ადგილობრივ სამაზრო საბჭომ და აღმასკომმა მიაქციონ ამ საქმეს სერიოზული ყურადღება, შეთანხმდნენ ერთი მეორესთან, წვრილმანებზე, დაუთმონ მუზეუმი, აღმასკომის ვიწრო ინტერესები დაუქვემდებარონ მუზეუმის ინტერესებს და ეს მუზეუმი, რომლითაც სამეგრელოსთან ერთად შეიძლება იამაყოს მთელ საქართველომაც, არ გადააქციონ უბრალო პროზაიკულ, ფართე მასისათვის სრულ მნიშვნელობას მოკლებულ არქივად.

შან—შენ.

# საქარ. სახალ. კომისართა საბჭ. საინფ. განყოფილების ბიულეტენი

### ოზურგეთის მაზრაში.

**რაიონის კოლაპოტის გაყვანა.** საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ლანჩხუთიდან დეპეშით შემდეგს ატყობინებენ: თანახმად თქვენი განკარგულებისა, რომელსაც ნახარი დაუჭირეს სენაკის და ოზურგეთის საადგილ-მამულო განყოფილებებმა, 5 აპრილს გაყვანილ იქნა რაიონის ახალი კოლაპოტი აგარაკ აკ რატოხში. მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ხუთი ათასმა კაცმა. მათ შორის ათას კაცამდე იყო მეგრელები. 5 აპრილი ისტორიული დღეა გურულ მშრომელ ხალხის ცხოვრებაში. ასეთი ერთსულოვნობით ხალხს არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ საზოგადო საქმეში.

### ლეჩხუმის მაზრაში.

**ალპანის რაიონში.** ალპანის რაიონის მრავალრიცხოვან მიტინგზე გაკეთებულ იქნა მოხსენება ცეკას რწმუნებული ამხ. დარახველიძის მიერ საერთაშორისო მდგომარეობის, თესვის კამპანიის და სხვა საკითხებზე, რის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ალპანის რაიონის მრავალრიცხოვანი მიტინგი გამოსთქვამს რა თავის აღფრთოვანებას, გულითად მადლობას უძღვნის ცეკას და საქართველოს მუშურ-გლეხურ მთავრობას, ფიცს სდებს, რომ ლეჩხუმის რევოლიუციონური გლეხობა, ითვალისწინებს რა დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, საბჭოთა მთავრობის დ ხმარებით და შემწეობით არც ერთი ხელის დადება მიწას არ დასტოვებს დაუმუშავებლად და შეეცდება საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილების მტკიცედ შესრულებას, რაიც უკანასკნელი ლახვარი იქნება საბჭოთა მთავრობის მოსისხლე მტრებისათვის.

### ქუთაისის მაზრაში.

**ცეცხლი სოფ. საჯავახოში.** 2 აპრილს სოფ. საჯავახოში მოხდა დიდი სტიქიური სახალხო უბედურება: გაჩნდა ცეცხლი, რომელმაც გაანადგურა სამოცამდე სახლი, დუქნები, თემის აღმასკომის კოოპერატივთა კავშირის და სასადილოს შ ნობები. დაიწვა ხალხის მიერ საქონელზე გადაცვლილი სათესლე და საკვები ორი ათას ფუთზე მეტი სიმინდი, რომელიც ეკუთვნოდა აგრეთვე გულიკარის და გომის თემებს და ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლებს. ზარალი დიდია. უდარიბესი გლეხობა, რომელიც ამ წელს მოუსავლობის გამო იმყოფებოდა აუტანელ პირობებში უარეს მდგომარეობაში ჩავარდა უკანასკნელი საქონლის გაყიდვით, ნაშოვნი სურსათ სანოვაგის გადაწვის გამო. ქუთაისის სამაზრო აღმასკომი მოკლებულია საშუალებას დაეხმაროს თემს საკუთარ ძალებით, ვინაიდან მთელი მაზრა სიმშილობის პირზეა მიმდგარი და მას კი სათანადო თანხა არ მოეპოვება. ამისთვის ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობს ცენტრის წინაშე, რათა სასწრაფოთ იქნეს გადმოგზავნილი გადამწვარ სოფ. საჯავახოს და გამოჩინებულის თემის დ მშეულ მცხოვრებთათვის სათესლე და საკვები მასალის შესაძლებელი რაოდენობა, სიმშილობის ნიადაგზე აღმოცენებულ ეპიდემიების და სხვა და სხვა ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად.

### სენაკის მაზრაში.

**განკარგულების შეუსრულებლობისათვის.** სენაკის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ გადაყენებულ იქნა სეფიეთის თემის მიწის კომიტეტის შემადგენლობა, ვინაიდან მან არ შეასრულა სამაზრო მიწის კომიტეტის ერთ და იმავე საკითხის შესახებ ორჯერ გაცემული განკარგულება და მოინდომა საქმის მოგვარება თავის სურვილისამებრ. მიწადმოქმედების განყოფილების განკარგულების სისრულეში მოყვანა დაევალა თემის აღმასკომს.

**თემთა აღმასკომები.** ვინაიდან ზოგიერთი თემთა აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთ დადგენილებას პირ და პირ ატარებენ ცხოვრებაში მაზრიდან სათანადო დასტურის მიუღებლად, რაც ქმნის მაზრაში არა ნორმალურ მდგომარეობას, სენაკის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა თემთა აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა ყოველგვარი მნიშვნელოვანი დადგენილებები ადგილობრივი საბჭოსი ეგზავნებოდეს მას განსახილველად და დასადასტურებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში თემის აღმასრულებელი კომიტეტი პასუხის გებაში იქნება მიცემული როგორც არსებულ კანონების დამრღვევი.

**ხე ტყის მასალის გაცემა.** ხე-ტყის მასალის დაწესებულებათა თანამშრომლებზე გაცემის შესახებ მაზრის აღმასკომმა შემდეგი განმარტება დაუგზავნა თემთა აღმასკომებს: საბჭოთა დაწესებულების თანამშრომელთათვის ხე ტყის მიცემაზე განსაკუთრებული კანონი არ არსებობს. მათ შეუძლიანთ მიიღონ ხე-ტყის მასალა საერთო წესით—ფასის გადახდით, მხოლოდ შეიძლება ნისიათ მიეცეთ მათ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ იშუამდგომლებს ის დაწესებულება, სადაც ირიცხება თანამშრომელი. უფასო ხე-ტყე მიეცემა მხოლოდ უკიდურეს გაჭირვებულთ—იქნება ის საბჭოთა დაწესებულების თანამშრომელი, თუ სოფლის მშრომელი მცხოვრები, რისთვისაც მან უნდა წარუდგინოს ტყეების გამგეს მაზრის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებიდან მიღებული სათანადო მოწმობა.

**გადასახადი მიწის შემოსავალზე.** სენაკის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა სრულიად გაუქმებულ იქნას გადასახადი მიწის შემოსავალზე, რადგანაც შემოსავალი ამ გადასახადიდან იქნება ძლიერ მცირე, ხოლო პროდუქტიული კი არა ხელსაყრელი.

**ხაფუთო გადასახადი.** მაზრის აღმასკომმა დაადგინა ეთხოვოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რათა გაუქმებულ იქნას [illegible] გადასახადი კერძო პირთა კუთვნილ სიმინდზე, მარილზე და ნავთზე.

**საბჭოთა აღმშენებლობა.** მაზრის აღმასკომმა დაადგინა მოვაჭრეებზე გაწერილ თანხიდან 5 პირველ რიგში დადგმულ იქმნას დინამო, შემოკავებული და გაშენებული ქალაქის ბაღი. გარდა ამისა შეკეთებულ იქმნეს სკოლების შენობები, ხოლო რაც შეეხება მათ კაპიტალურ შეკეთებას, ეს საქმე გადადებულ იქმნას პირველ ივლისამდე. აღთქმად კი დამზადებულ იქმნას ხე ტყის მასალა, რისთვისაც მიეცეს სესხათ კომუნალურ განყოფილებას ორმოცდა ათი მილიონი მანეთი.

**სათესლე მასალა საქართველოსთვის.** მოსკოვიდან ამხ. ორჯონიკიძე და სვანიძესაგან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: „4 აპრილს გაემგზავრდა 6 გამოიგზავნა სამი ათასი ფუთი სათესი სიმინდი, რომელიც მოვა აპრილის უკანასკნელ რიცხვებში. ერთი კვირის შემდეგ მოვა კიდევ ექვსი ათას შვიდასი ფუთი სახმარი სიმინდისა, რომელიც უნდა გადაეცეთ გლეხებს სათეს სიმინდზე“.

# მოწერილი ამბები

**ლანჩხუთი.** აპრილის 4 გურიის გლეხ-კაცობისათვის ისტორიულ დღედ შეიძლება ჩაითვალოს. ამ დღეს დამტკიცდა თუ რა დიდი საქმის გაკეთება შეიძლება საერთო მუშაობით, კოლექტიური თანამშრომლობით, თუ ხელისუფლება დაინტერესებულია სახალხო საქმით. ეს საერთო საქმისადმი სიყვარული მოწინავე ამხანაგებისა ჩვენ დავინახეთ სწორედ აპრილის 4 ს.

სიმინდის მოსავლიან ადგილად მთელ საქართველოში ითვლება ლანჩხუთის ირგვლივ მდებარე ახალი მიწები. აქ ქცევა მიწა (900 კვ. ს) პრიმიტიულად დამუშავებულიც კი იძლევა 100 ფუთამდე. ასე უხვად აჯილდოვებს აქ ური ნიადაგი მუშა გლეხ-კაცობას, მაგრამ ამ სიუხვესთან ერთად არის გარეშე შემშლელი პირობებიც, რომელთა გადალახვა ერის ან რამოდენიმე მუშასა არ შეუძლია.

მდინარე რაიონი, რომელიც ჩრდილოეთით ჩაყოლის ამ სახნავ-სათეს მიწებს ადიდების დროს, თავის კალაპოტში არ ეტევა და ნაპირებზე გადმოდის. რაიონი დიდდება სწორედ იმ დროს, როდესაც სიმინდის თესვა იწყება აპრილ-მაისში და ამით ერთიანად ანადგურებს წლის მოსავალს. ოქროს კურსით, რომ ვიანგარიშოთ მარტო ერთ წელში მიყენებული ზარალი რამოდენიმე ათეულ მილიონამდე მიაღწევს. გარდა ამისა ერთიანად ფუჭდება საძოვარი ადგილები და ძლიერ ხშირად საქონლის ქრიალიც ხდება. ერთი სიტყვით ეს მდინარე მეტის მეტ მძიმე ლოდად აწევს აქაურ მუშა გლეხ-კაცობას.

რომ გადაელახათ ეს დიდი დაბრკოლება და უზრუნველეყოთ აღნიშნული სახნავ-სათესი მიწები—1920 წელში გაკეთებულ იქმნა მდ. რაიონის გასწვრივ 13 ვერსის სიგრძეზე დამბები, იმ გამოანგარიშებით, რომ ადიდების დროს ნაპირიდან გადმოსული მდინარე—დამბებით დაეკავებინათ. მართალია ამ დამბების გაკეთებამ დიდი სარგებელი მოიტანა, მაგრამ მდ. ჩქარი სვლის გამო ადგილ-ადგილ დამბა ირღვეოდა და მდინარეც გასასვლელ ადგილს პოულობდა. რომ ეს დაბრკოლებაც გადაელახათ ამისთვის საჭირო იყო იმ ადგილას—სახელდობრ—ნაკრეხის აგარაკში—სადაც რაიონი დიდ მოხვეულს აკეთებს, გაეჭრათ ახალი კალაპოტი მდინარისათვის. აქ რაიონი უხვევს შვიდ ვერსამდე, მაშინ როდესაც მისი ბოლოები დაშორებული არის ერთი მეორეზე 200 საჟენით ასეთი დიდი მოხვეულის გამო, მდ. გადმოსვლა კალაპოტიდან და ამით დამბების განადგურება ადვილი არის. ამ საქმის მოგვარება განზრახული იყო კიდევ თვითმპყრობელობის დროს და აგრეთვე მენშევიკურ მთავრობის დროსაც, მაგრამ „სხვა და სხვა“ მიზეზების გამო ვერ მოაგვარეს.

მეტის მეტ ჩქარის ტემპით, დიდი ენერგიით შეუდგა ამ საშველისშველ საქმეს ლანჩხუთის ხელის უფლება. მან აძლია ყოველივე დაბრკოლება და ეს საქმე ჩინებულად დაგვირგვინა. ერთი დიდი ხელის შემშლელი პირობა ამ საქმის მოგვარებისა იყო ის, რომ მდ. რაიონის გაღმა მცხოვრები მეგრელები წინააღმდეგნი იყვნენ ახალი კალაპოტის გაჭრის იმ მოტივით, რომ თითქოს ამის შემდეგ მდ. რაიონი მათ გაანადგურებდა. აქ ცხადია სარგებლობდნენ შემთხვევით ის ვიგინდარები, რომლებიც მარილა ზარალობდნენ მიწების დაკარგვით

თუ სხვა და რამდენიმე ათას კაცს ამ-ხედრებდნენ წინააღმდეგ. მაგრამ სენა-კის სამაზრო აღმასკომის დასტური მდ. ახალი კოლაპოტის გასაჭრელად საკმა-რისი დარჩა და მეგრელებს წინააღმდე-გობა არ გაუწევიათ.

ამ საქმის პრაქტიკულად მოგვარება კი იდვა თავს ლანხუთის ხილის ფერუ-ბამ 4 აპრილისთვის გაწვეულ იქმნა ადგილობრივ და ახლო მდებარე თემე-ბის მუშა ხელი სრულიად. დანიშნულ დღეს ხუთი ათასამდე მშრომელი გლეხ-კაცობა, მუშაკით და თოხ ნიჩბებით შე-იარაღებულები გამოვიდნენ სამუშაოდ. არ დარჩენილა სახლში ერთი კაცი კი, ყველა სამუშაოდ გამოვიდა. მეტის მიტ ლამაზ სურათს წარმოადგენდა სამუშაო ადგილი. ორი დღის მუშაობით არხი გაიჭრა. ამ რიგად მოგვარდა ისეთი დი-დი საქმე, სახელმწიფოებრივის მასშტა-ბითაც, რომლის გაკეთებაც სხვა დროს შეუძლებელი იყო. ამ დღეს დარწმუნდ-ნენ ფურწმანო თემანიც კი, რომ კოლე-ქტიური მუშაობას, საქმის სიყვარულს, საერთო ენერგიის გაერთებას, დაუფასებელ სარგებლობის მოტანა შეუძლია.

Agricola

# მთავრობის მოქმედებ ნი და განკარგულებანი

## დეკრეტი № 1.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენ-ტრალური აღმ სრულებელი კომიტე-ტის საქართველოს ტერიტორიაზე წყალთა მეურნეობის ორგანიზაციის შეს ხებ.**

საქართველოს ტერიტორიაზე წყა-ლთა მეურნეობის წესიერი და რა-ციონალური დაყენებისათვის სრუ-ლიად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმა-სრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წყალთა მთელი მეურნეობის გამგებლობა როგორც არსებულ სი-სტემათა ექსპლოატაციისა, ისე ახა-ლი სისტემების მოწყობის მხრით გაერთიანებულ იქნეს ცენტრსა და ადგილობრივ მიწათმოქმედების სა-ხალხო კომისარიატის „წყალთა გან-ყოფილებაში.

2. წყლის მეურნეობად ჩაითვლე-ბა: წყალის გაყვანა, მორწყვა, დაშ-რობა, კანალიზაცია, მდინარეთა მო-ვლა-გარიგება, წყალდიდობასთან ბრძოლა და წყლის ვარდნის ძალის გამოყენება.

3. მიწათმოქმედების კომისარია-ტის წყალთა განყოფილების მოვა-ლეობას შეადგენს:

ა) წყლის სარგებლობისა და წყალთა-მშენებლობის საერთო გეგ-მის შედგენა;

ბ) წყალთა მეურნეობის საერთო გეგმის შესადგენათ საჭირო გამოკვ-ლევების წარმოება (ჰიდროგრაფიუ-ლი, ჰიდრომეტრიული, ნიადაგისა, საგეგმო ხატვა და სხვ.)

გ) გამოკვლევა, პროექტების შე-დგენა და წყალთა ახალი სისტემე-ბის აგება;

დ) წყალთა გამიჯვნა, ე. ი. არსე-ბულ წყლის უფლებათა განსაზღვრა და ახალი წყალ-სარგებლობის ნება-რთვის მიცემა;

ე) მეთვალყურეობა არსებული წყალ-სარგებლობისათვის და არსე-ბულ წყალთა სისტემის რიგზე მოვ-ლა-პატრონობა;

ვ) კანონმდებლობა წყალთა დარ-გისათვის;

ზ) წყალ-სარგებლობისათვის ფი-ნანსიურად მოგვარება (სამელიორა-ციო კრედიტი, სუბსიდია, წყლის გადასახადი).

ი) ინსპექციის გაწევა საკოოპერა-ციო (წყალთა ამხანაგობანი), საიჯა-რო და საკონცესიო წყალ სარგებ-ლობისათვის.

4. წყალთა მეურნეობის ყველა სამუშაოს გაერთიანება მიწათმოქმე-დების კომისარიატის წყალთა განყო-ფილებაში უნდა მოხდეს ამა დეკრეტ-თან დართულ ინსტრუქციაში აღნი-შნული წესით.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს საბჭოთა ცენტრა-ლური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

აღმასრულებელი კომიტეტის მდი-ვანი თ. კალანდაძე.

1922 წ. აპრილის 12.

ტფილისი-სასახლე.

### ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

**წყალთა მეურნეობის სამუშაოთა გაე-რთიანების წესის შესახებ.**

1) დაევალოს სახალხო მეურნეო-ბის უმაღლეს საბჭოს ყველა საქმე და წყალთა მეურნეობის ყველა სა-მუშაო, აგრეთვე ყოველგვარი იარა-ლი და მასალა გადასცეს და ჩაბა-როს ადგილობრივ საგანგებო მიმ-ღებ კომისიას, რომელსაც დანიშ-ნავს მიწათმოქმედების სახალხო კო-მისარიატის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უგვიანეს ორი თვისა, კომისიის დანიშვნის დღიდან.

2) ყველა კრედიტი წყალთა მეუ-რნეობისათვის და ნაშთი ამ კრედი-ტებისა სახალხო მეურნეობის საბ-ჭოს აღრიცხვით, გადატანილ იქნეს მიწად-მოქმედების სახალხო კომისა-რიატის აღრიცხვაში, ცალკე სამუ-შაოთა გადაცემისდაკვალად.

3) სახალხო მეურნეობის უმაღ-ლეს საბჭოს მთელი შტატი წყალთა მეურნეობისა როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, გადავიდეს სამუ-შაოთა გადაცემისადაკვლად, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

4) დაევალოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი თვის განმავლობაში უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ ყველა სა-ქმისა და სამუშაოს სრული ჩაბარე-ბის დღიდან, წარმოადგინოს პროე-ქტი დებულებისა საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის წყალთა მე-ურნეობის შესახებ და აგრეთვე მისი შტატები.

საქართველოს საბჭოთა ცენტრა-ლური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. აპრილის 12.

ტფილისი—სასახლე

# თეატრი და ხელოვნება

**სახელმწიფო მე-2-ე კონსერვატო-რია.**

არ ვიცით რა პირობებშია სახელმ-წიფო მე-2-ე კონსერვატორიის პედაგო-გიური ნაწილის მდგომარეობა, სამწუ-ხაროდ მე საშვალება არ მომეცა ერთ-ხელ მაინც დავსწრებოდი მოწაფეთა სალამოებს, მაგრამ ერთი კია: კონსერ-ვატორიის დირექცია მასწავლებელთა შემადგენლობაში ისეთ პირების მოწვე-ვას როგორც პროფ. დრონზდოვი (რო-იალი), ილჩენკო (სკრიპკა), ცოვიანოვი (cello), ამის თავდებია, რომ დირექ-ცია ცდილობს პედაგოგიური ნაწილი დააყენოს სათანადო სიმაღლეზე. მანამ კი საქმის სათავეში მდგომნი (მოქ. არაყიშვილი, ბაშინძე, ბარათაშვილი) მეტის მუშაობენ სამხატვრო საქმის გა-საძლიერებლად. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფილარმონიულ სას წავლებლიდან გადაკეთდა კონსერვატო-რიად, ამ მოკლე დროის განმავლობა-შიაც, მიუხედავად ხელის შემშლელ პირობებისა, შეიქმნა მუდმივი კვარტე-ტი ტფილისში გამოჩენილ არტისტიულ ძალებიდან და მისცა რამოდენიმე კამე-რული სალამოები საინტერესო პროგრა-მით.

ამ დღეებში კონსერვატორიის დარ-ბაზში შესდგა clavier abend პროფ. დრონზდოვის მე ფიქრი ალვენშნე, რომ პიანისტი უფრო იმარჯვებს ლისტის ნაწარმოებში. მის მიერ შესრულებული ლისტის ფანტაზია „სვლა წმ. ფრან ცისკის წყლებზე“—სამაგალითო იყო. რა კარგია. დინამიური ასახვა შესრუ-ლებაში, ქარიშხალი და მისი თანდათა-თანობითი დაცხრომა. კარგათ იქნა შე-სრულებული. ვაგნერ-ლისტის პარაფრა-ზი Jsoldens lilbes tod (იზოლდის სი-კვდილი ოპერა „ტრისტანი და იზოლ-დიდან“). აქაც თანდათანობითი ზრდა, რომელიც ახასიათებს იზოლდის ტრა-გიკულ სიყვარულს ტრისტანთან.

მოხდენილად იყო შესრულებული ლი-სტის ფანტაზია მოცარტის მოტივებზე ოპერიდან „დონ-ჟუანი“.

ერთი სიტყვით ლისტის ნაწარმოებ-ნი, რომელიც მოითხოვენ დიდ მომზა-დებას, იხერხება დრონზდოვს. შოპენის ნაწარმოები კი, რომელიც მოითხოვს სიღრმეს და არა ტარებან ბრწყინვალე-ბას, ვერ უდგება დრონზდოვის შესრუ-ლებას. ამიტომ მკრთალად შესრულდა შუმანის განთქმული ფანტაზია C dur და კარგათ „ჩიტი წინასწარმეტყველი“. შუმანის სიყვარულის სტილი და მოხდენა არ იმჩნეოდა დრონზდოვის გადოცის შესრუ-ლებას და როგორაც ზაკვარელი არაა, მოწიფულად იქნა შესრულებული მენ-დელსონის Tileuse აქ tempo ც ნელი იყო და პასაჟების სწორად არ მიდის მარჯვენა ხელით, არ არის სიმსუბუ-ქეც.

დრონზდოვის კონცერტს შემდეგ იმა-ვე კონსერვატორიის დარბაზში შესდგა კამერული სალამო მუდმივი კვარტეტის მონაწილეობით (ილჩენკო—I სკრიპკა, ტუპელი—II სკრიპკა, ცოვიანოვი—cello, ფლორინსკი-ალტი). შესრულე-ბული იქნა სინდინგის კვინტეტი E moll. ფორტეპიანოს პარტია შეასრულა კრა-მაროვა-პატრიკმა, რომელმაც გამოიჩი-ნა კარგი ტეხნიკა, პოდალიზაცია. ნაკ-ლი:—ზედმეტი ფორსიროვკა, ცუდი ფრაზიროვკა. ერთს კვარტეტი 9-moll შესრულდა სრული ensemble-ით.

პირველი კონსერვატორიის დარბაზ-ში შესდგა ახალგაზრდა ვიოლონჩელის ტის რაი გარმოზოვის კონცერტი. არ-ტისტი, დასრულებული, საგანგე-ბოა, მიუხედავად გარმოზოვის სიახალ-გაზრდისა. მის შესრულებაში ჩანს ჩამოქნილობა, სიღრმე; დიდი ტეხნიკა, მუსიკალობა. მას ჩინებული მომავალი მოელის.

ეს Wunder kind კი არ არის, არა-მედ მტკიცედ დაჯილდოვებული არტის-ტული ბუნება. მშობლიების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი თვალს ადევ-ნებენ ბავშვის სერიოზულ მუშაობას და არ სარგებლობენ მისი ნიჭით.

პ. ბ.

# „ფარული საზოგადოების“ მოქმედნი პირები: ფილად. კიკნაძე

(შემდეგი).

კიკნაძე ბერის შესახებ მთავრობამ იმ დროის ეგზარხოს ცნობები მის-ცეს, რომ თქვენს სამწყსოში, ერთი ჩვენი მთავრობის მტერი ბერი გყო-ლიათო. ეგზარხოსმა მოისმინა ეს ცნობები და ამაზედ სასტიკათ გა-ცოფდა, ამიტომ ეგზარხოსმა დროე-ბით ამ ბერის დაჭერა დაატოვებინა. ჯერეთ ჩვენ შევკრიფავთ ცნობებს და მის მერე იქმნეს მისი დაჭერაო. ამიტომ მთავრობამ დასტოვა კიკნა-ძე ბერის დაპატიმრება. ეგზარხოსმა კი კიკნაძე ბერს ჯაშუშები მიუჩინა და დაუყენა ზედამხედველათ. 1833 წ. გაზაფხულზედ კი, ერთ დღეს, კიკ-ნაძე ბერს, თავს დაეცნენ ეგზარხო-სი, ამის პროკურორი, მთავარმარ-თებლის მოხელე და 100 რუსის ყა-ზახის სალდათები და უცბათ მონას-ტერს ალყა შემოარტყეს.

მცირე ხანს შემდეგ ყაზახები მო-ნასტრის გალავანში შევიდნენ, ასე-ვე შევიდნენ ყველანი ეგზარხოსი, პროკურორი, მთავარმართებლის მო-ხელე და სხვანიც ასეთნი ბევრნი, ყველანი, იქ მისულნი.

მცირე ხანს შემდეგ სენაკებიდამ გამოიხმეს ყველა ბერები, ესენი და-აყენეს ერთ მხარეს, მერე გამოუძა-ხეს კიკნაძე ბერსაც, ეს დააყენეს მეორე მხარეს, კარგა მოშორებით ბე-რებთან. მერე ბერებს მისცეს ასეთი გამოკითხვა მთავრობის კაცებმა. თი-თო ბერს ჰკითხავდენ და სწერდნენ მის ნალაპარაკევს. მერე მეორეს, მე-სამეს და სხვებსაც ასევე. ბერებს აი რასა ჰკითხავდენ:

ფ. კიკნაძეს, აქ ამ მონასტერში სად აქვს დამალული ის ქაღალდე-ბი, რომელსაც იგი ხალხში ავრცე-ლებს და მით მოუწოდებს ხალხს, რომ იგინი რუსის მთავრობის წი-ნააღმდეგ აჯანყდნენ?

ბერებმა ერთმანეთს შეხედეს, კი-კნაძე ბერი გაფითრდა. ბერებს თვა-ლით სიფრთხილე ანიშნა. ბერებმა ყველამ უარი სთქვა:

— ჩვენ მაგისთანა ქაღალდების არასფერი გვინახავს აქ, არც ვიცით რამე მაგაზედ, ჩვენ მაგის არაფერი გაგვეგონია. ეს პირველიაო.

ამის შემდეგ მოიტანეს სხვილი თოკები და ყველა ბერები თითო-თითოდ ხეებზე მიაკრეს იმ თოკებით მაგრა. ამის შემდეგ ეგზარხმა ბერებს ისეთი სიტყვა უთხრა:

„ბერებო თქვენ ყველანი უარს ამ-ბობთ და „არ ვიცით„ იძახით. გირ-ჩევთ, რომ გამოტყდეთ და სწორეთ ილაპარაკოთ, თორემ ჩვენ მაინც ყველასფერს ვიპოვნითო“.

ბერებმა მაინც უარი უთხრეს, რომ არ ვიცითო.

მერე ეგზარხმა უთხრა მთხოვნელის პირით შემდეგი სიტყვა:

„რაკი თქვენ უარს ამბობთ და მა-ლავთ, რაც აქ ამ მონასტერში თქვე-ნი სადგომი სახლებია, ყველას გა-ვჩხრეკავთ, მერე დავაქცევთ და პოვნით კი მაინც ვიპოვნით, მის შემდეგ თქვენც არ დაგადგებათ კა-რგი დღე. მის შემდეგ თქვენც სულ რუსეთში გადავასახლებთ ისე, რომ მის შემდეგ თქვენ საქართველოს თვალით ველარ ნახავთ.

ხეზედ მიკრულ ბერებში, ერთი მოხუცებული ბერი იყო, რომელსაც თავის საცხოვრებლათ ერთი პატარა ორ სართულიანი სახლი ჰქონდა გაკეთებული, ამას შეეშინდა, რომ ვაი თუ ჩემი სახლი დააქციონ და მაშინ ხომ პოვნით მაინც იპოვნიან იმ ქაღალდებს და ბარემ ვეტყვი ეხ-ლავე და მით სახლებს დაქცევა ას-ცდებათ, ჩვენ ხომ მაშინ რუსეთში არ გადაგვასახლებენო.

კიკნაძემ ამ ბერს ალღო აართვა და შეუბღვირა ოსტატურათ, მაგრამ საქმე გვიან იყო. ბებერ ბერს სახ-ლის დაქცევის და გადასახლების ეშინოდა და ამიტომ მან ეგზარხის მთარგმნელს უთხრა შემდეგი:

„მოითმინეთ, ნურაფერს დააქცევთ, მე გეტყვით ყველასფერს, სადაც რა არის დამალული და შენახული. მხოლოთ იმ პირობით კი, რომ არც სახლები დააქციოთ და არც რუ-სეთში გადაგვასახლოთ ჩვენა“.

მთარგმნელმა ბერის ეს სიტყვა ეგზარხს გადასცა. ეგზარხს გაუხარდა და პასუხათ მთარგმნელის პირით თანხმობა მიუგო, მაშინათვე ეს და-ბმული ბერი ახსნეს. ამან დაიწყო ცნობების მიცემა ასე:

„აგერ აი, იმ სახლის ყავრულში ადით, იქ, ერთ ალაგას, ჰერზედ ნაშალ მიწას ნახავთ, ის მიწა გა-დათხარეთ, მის ქვეშ ფიცრები აწყვია, ის ფიცრები გადასწიეთ და მის ქვეშ აწყვია ყველასფერი“.

ამ სიტყვის უმალ მთარგმნელმა დაუყვირა ჩინოვნიკს და პროკუ-რორს, რომელნიც მაღლა იყვნენ ასულნი დასაქცევათ.

—შევიტყეთ, შევიტყეთ, არასფერი დააქციოთ.

მალე თვით ეს მთხოვნელიც მა-ღლა ოთახების ყავრულისაკენ გაიქ-ცა აღნიშნული ადგილის მოსაძებ-ნათ. მალე ავიდა, იპოვნეს ის ალა-გი, გადათხარეს მიწა, აკრიფეს ფი-ცრები და მართლაც შიგ იპოვნეს ბევრი ქაღალდები.

მთარგმნელმა დაიყვირა მაღლი-დამ ეგზარხოსის გასაგონად.

—ვიპოვნეთ ყველაფერი, ყველას-ფერი მართალი გვითხრა ბერმა.

ამ დროს ეგზარხოსი კიკნაძე ბერს შებღვერით შეხვდა, მალე მი-ვარდა და გულიდამ ჯვრის აგლეჯა დაუწყო, თან ასე ეუბნებოდა.

შენ ბერი ხარ, მაგრამ ამ ჯვარის ღირსი არა ხარ, რომ ატარო.

კიკნაძემ ჯვარი არ დაანება და ასეთი სიტყვა უთხრა:

მე ქართველ მეფის დროის ანტონ კათალიკოზის ნაკურთხი ვარ, ჯვარიც იმან მომცა და არა შენა, შენ არა გაქვს ნება, რომ მე ეს ჯვარი გუ-ლიდამ ამგლიჯო.

ეგზარხოს და კიკნაძეს ჩხუბი მო-უვიდათ, ერთმანეთს მაგრათ ურტ-ყეს, კიკნაძე ღონიერი კაცი იყო, მოერია. გულიდამ ჯვრის აგლეჯის ნება არ მისცა. ჩვენც ბერები სულ ხეებზედ ვიყავით მიბმულები ერთად-ერთი ბებერი ბერიც შ... არ მეეშველა. კიკნაძემ ... მა ეგზარხოს და ... ჩაიტ... ხრა:

მე შეჩვენებულო, შენა, ასე გორ შეგაშინეს ეს, რა ჰქენი?

ამ დროს, მაღლიდამ ყაზახებ... მოვიდნენ ქაღალდები ჩამოიტ... მალე დაყარეს ეს ქაღალდები ... ეს ეგზარხოსი და კიკნაძე გა... ლეს. ამ დროს ყაზახები ვერ ... ცნენ კიკნაძეს ადამიანურად.

იმავე დღეს, კიკნაძეს ბორკ... ბი შეუყარეს და თავისავე ოთ... დაამწყვდიეს, მის სახლში რაც ... ნები იპოვნეს, ძალიან ბევრი, გამოიტანეს და ნაპოვნ ქაღალ... მიუმატეს, ცეცხლი მისცეს და კიკნაძეს თვალის წინ დასწვეს. ნაძეს ოთახიდამ დაუწვავი ... სხვა და სხვა წერილები, ყველა... ნი მათ თან წაიღეს.

იმ ღამეს, კიკნაძე დამწყვდე... და შეკრული იყო თავის ოთ... გათენდა მეორე დღე, ყველანი ემზადნენ წასასვლელად. კიკნაძ... რი გამოიყვანეს კარში. ფეხ... ბორკილი ჰქონდა, ასევე ხე... შიაც, იმას კიდევ ყელზედ ... დიდი თოკი შემოახვიეს და შე... ამ თოკის ერთი წვერი ერთს ყ... მისცეს, რომელ ყაზახიც ცხე... იჯდა და ამას უნდა წაეყვანა ფ... კიკნაძე.

ასეც მოხდა ცხენოსანი ყა... ცხენით წავიდა წინ, ხელში იმ... კის წვერი ეჭირა, რომლითაც ... ნაძე იყო შებორკილი და ეს ... ნიანი ყაზახი ქვეითათ მოსიარ... კიკნაძეს მიათრევდა უსამართლ... ჩვენც ბერებმა ბევრი ვიწუხეთ, რამ რალა იქნებოდა, არასფერი.

ასე წვალებით წაიყვანეს კიკ... ამ გვარად კიკნაძეს წინ ერთი ... ნოსანი ყაზახი მისდევდა და მ... რევდა უზდელად და უკან ... მას 100 ცხენოსანი ყაზახი მის... და. ამათ თურმე მათ კიკნაძე... ში ძრიელ დატანჯეს და რადგ... იგი ცხენოსან ყაზახებს ფეხ და... ვერ მისდევდა, ორჯერ უცე... გზაში მათრახებით, ხოფ. უჯა... ღამე გაუთევებიათ და კიკნაძე რმე ერთ სადგურში შეაგდეს ... გაათიებინეს.

მეორე დღეს კიკნაძე თფილ... ჩაიყვანეს და მეტეხის ციხეში ვეს თურმე. მცირე ხნის შემდე... გაასამართლეს და მას ციმბირში სვლა მიუსაჯეს სასჯელად. მე... იგი დააპატიმრეს იმ ტუსაღე... რომელნიც „ფარული საზოგ... ების“ გამო დაჭერილები იყვნე... ამათ გამოძიებას კიკნაძეს საქმ... კავშირი ჰქონდა.

აქ კიკნაძემ ტუსაღებს ტელ... ფის წესით, თითების რაკუნით ... პარაკი ასწავლა, რომ გამოძ... დროს, ყველამ ერთნაირად ვი... რაკოთო. ამ თითების რაკ... ერთმანეთს ატყობინებდნენ ყვე... ფერს. მერე კიკნაძე ავად ... ძრიელ, ამიტომ იგი მეტეხიდამ... რიის მონასტერში გადიყვანეს, ოთახში დაამწყვდიეს და კა... ყარაულად ორი სალდათი და... ნეს.

იქ მონასტერში საზრდოს ... მალს ბერები უგზავნიდნენ, მ... იგი ვერ მორჩა და 1834 წ. დაიცვალა, დაასაფლავეს იქვე ... ნასტრის გალავანში, ეკლესიის ... მისი ბარგი-ბარხანაც სულ სა... თებმა წაიღეს, ბრძანება ასეთი ... დათ.

დამარხვის დღეს, პროფ... მოვიდა და რუსულად საფ... რაღაც ქაღალდი წაიკითხა. ჩვე... რა გავიგეთ რა მისი. ასე და... ლა ეს ამბები მღვდელ მონაზო... ნადიმ 1884 წ.

ზაქ. ჭიჭინაძე

რედაქტორი—სარედაქციო კოლ...
გამომცემელი— მთავარი კომი...



საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.

დ. ს. ც.